# ხელშეკრულება № 137

თბილისი

8 ნოემბერი 2016 წ.

ერთი მხრივ ქ.მცხეთის მუნიციალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება (შემდგომში – „დამკვეთი“), დირექტორი შორენა არჯევანიძის სახით და მეორეს მხრივ საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაცია (შემდგომში – „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი ფედერაციის პრეზიდენტის კახა ბასილიას სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ქ.ბათუმში შოტოკანის ევროპის ჩემპიონატი და მსოფლიოს თასისი ჩემპიონატი კარატეში მცხეთის წარმატებული სპორტსმენების მონაწილეობა;
1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ქ.ბათუმში „ევროპის ჩემპიონატზე“ 2016 წლის 11-13 ნოემბერს.

Cpv -98100000-326,40ლარი.

## 2. უფლებები და ვალდებულებები

2.1. შემსრულებელი:
2.1.1. უზრუნველყოფს დამკვეთის მონაწილეების ხარჯი
2.2. დამკვეთი:შორენა არჯევანიძე
2.2.1. წარმოადგენს ოთხ სპორტსმენს.

## 3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება თანხა ეკვივალენტი ლარში 326.40ლარი (სამასოცდაექვსი და ორმოცი);
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება მოხდება ჩემპიონატის ჩატარებამდე, შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;
**4.2.** ხელშეკრულების ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

## 5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;
5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;
5.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

## 6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არ აქვს.
6.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო.

6.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ორივე მხარემ მიიღო თითო ეგზემპლარი.

## 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"დამკვეთი"

ქ.მცხეთის მუნიციპალიტეტის
კულტურისა და სასპორტო
დაწესებულებათა გაერთიანება
საიდენტ. კოდი 436036362
ქ. თბილისი, ,,სახელმწიფო ხაზინა''
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში(სახაზინო კოდი) 74 2207019
ქ. მცხეთა მამულაშვილის ქ.12
ტელ: 2 51 25 69
დირექტორი
_______________/შ.არჯევანიძე.

„შემსრულებელი"

საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაცია
თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. №9 ა
საიდ. კოდი 404463923
სს ,,თიბისი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE12TB7337036080100003

პრეზიდენტი
_______________/კ. ბასილია /